პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ოქტომბერი პარასკევი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 233 (16054)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯიბრების მოწინააღმდეგენი

„უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციის კოლექტივს, ავტორებსა და მკითხველებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ „უჩიტელსკაია გაზეტას“ — მასწავლებლის საიმედო მეგობრისა და თანაშემწის — პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცდაათ წლისთავს.

საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე დიდმა ლენინმა მასწავლებლობას უწოდა სოციალისტური განათლების მთავარი არმია, მოუწოდა მას თავისი საქმიანობა დაეკავშირებინა პარტიასთან, მის იდეებთან. საბჭოთა მასწავლებლები ლენინის ამ ანდერძის ერთგული იყვნენ და არიან.

სახალხო მასწავლებელი საბჭოთა საზოგადოების სიამაყეა. მან საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა სახალხო განათლების საქმისადმი ერთგული სამსახურით, თავისი გულუხვობით, კეთილშობილური სულიერი თვისებებით, ბავშვების სიყვარულით. პარტია დიდად აფასებს მასწავლებლის იდეურ რწმენას, თავდადებულ შრომას, მის დიდ წვლილს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

„უჩიტელსკაია გაზეტა“ ნახევარი საუკუნის მანძილზე აქტიურად ეხმარება მასწავლებლებს შეასრულონ პარტიის მთავარი განაწესი — უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ ჩვენი სკოლა კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, აღზარდონ განათლებული, შრომისმოყვარე, სოციალისტური სამშობლოს, კომუნიზმის იდეალების უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა მოქალაქენი.

ვუსურვებ რედაქციის კოლექტივსა და მის ავტორთა აქტივს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს. წერეთ მკაფიოდ, დამაჯერებლად, პარტიული პრინციპულობით. უფრო ღრმად შეისწავლეთ, უფრო ფართო პროპაგანდა გაუწიეთ ყოველივე მოწინავეს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისა და სწავლების პრაქტიკაში. დაე თქვენი ჟურნალისტური შრომა კვლავაც ემსახურებოდეს საბჭოთა სკოლის შემდგომ აღმავლობას, სახალხო განათლების აყვავებას.

ლ. ბრეჟნევი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ივანოვოს კ. ი. ფროლოვის სახელობის მელანქის კომბინატის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ თქვენ დიდ შრომის გამარჯვებას, მეცხრე ხუთწლედისთვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას და წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების იმ დონის მიღწევას, რომლებიც ხუთწლედის დამლევისათვის გეგმდათ დაგეგმილი.

განვლილ სამ წელიწადსა და 8 თვეში პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 34,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 55 პროცენტით, მაშინ როცა ხუთწლედის დამლევისათვის დავალება ითვალისწინებდა შესაბამისად 25,2 და 42 პროცენტს. ორი მესამედით გაზრდილია პროდუქციის ასორტიმენტი. წელს გამოშვებულია 30 მილიონ მეტრზე მეტი ნაკლებდაჭიმჭიანადი და შეუკლები ქსოვილები, რომლებიც გაჟღენთილია წყალუკარები და სხვა სპეციალური ნივთიერებებით, რაც აუმჯობესებს ქსოვილების სამომხმარებლო თვისებებს.

ეს მიღწევები პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, მთელი კოლექტივის თავდადებული შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის წარმატებით ათვისებების, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, წარმოების კულტურის ამაღლების შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ თქვენი კოლექტივი მოიპოვებს ახალ საწარმოო მიღწევებს, კვლავაც იქნება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ლ. ბრეჟნევი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

მეოთხედი საუკუნე სოციალიზმის გზით

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

2 ოქტომბერს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, რომ საზეიმოდ აღენიშნათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25-ე წლისთავი.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. ა. სურგანოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკები, მხედართმთავრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მათთან ერთად იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. პაგერის მეთაურობით, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს დელეგაცია საზოგადოების პრეზიდენტის დოქტორ ლ. ბოლკის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმენებული სსრ კავშირში ა. ადე, სხვა გერმანელი ამხანაგები.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. ლაპინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ახდა ის, რაზედაც ო�ენებოდა და რისთვისაც იბრძოდა გერმანელი რევოლუციონერთა ბევრი თაობა. ჰიტლერულ ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებით 1945 წლის დაუვიწყარი გაზაფხული გერმანელი ხალხისთვისაც გახდა ახალი ცხოვრების გაზაფხული ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. პაგერმა. მან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პირველი მდივნის ამხანაგ ერიხ ჰონეკერის სახელით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის სახელით ძმური საალმი გადასცა კრების მონაწილეებს.

ჩვენი ხალხისათვის განსაკუთრებით სასიამოვნოდ და მეტად სასახელოა ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აწყვია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის დედაქალაქ ბერლინს, თქვა შემდეგ კ. პაგერმა. ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეები ახლა უფრო ძლიერ, ვიდრე ოდესმე, გრძნობენ, რომ ლენინის ქვეყანასთან მეგობრობა ჩვენი ცხოვრების საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხია, სოციალიზმის აწმყოსა და მომავლის საფუძველი და გარანტია.

კ. პაგერი შეიკრებილთ ესაუბრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მეოთხედი საუკუნის მანძილზე მოპოვებული წარმატებების შესახებ.

ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხალხი, განაგრძო დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირთან ძმურ კავშირში მუდამ ხედავდნენ ქვეყნის ყოვლმხრივი განუწყვეტელი განვითარების საძირკველს, მისი როგორც სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს, დამოუკიდებლობის გარანტიას, სოციალიზმის მშენებლობისათვის ყველაზე ხელშემწყობი საგარეო პირობების უზრუნველყოფის გარანტიას.

დასასრულ კ. პაგერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებათა საწინდარია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება, სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან ურღვევი კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა შემდგომი განმტკიცება, კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და შეკავშირება. (საკვანძო).

მენავთობეთა ახალი მიჯნები

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნულია, რომ უნდა გაიზარდოს რესპუბლიკაში ნავთობისა და გაზის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ეფექტიანობა, გაფართოვდეს ამ ძვირფასი ნედლეულის მოპოვება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე, რომელმაც განიხილა ამ საპროგრამო დოკუმენტის განხორციელების ღონისძიებანი, აღინიშნა, რომ ამ დარგში მთელი რიგი წლების მანძილზე დგილი ჰქონდა ჩამორჩენას. ჯეროვანი ეფექტურობით არ წარმოებდა მუშაობა ნავთობისა და გაზის ახალ საბადოთა გამოვლინებისთვის. ტრესტ „საქნავთში“ (მმართველი რ. თევზაძე) ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ ტრესტში მუშაობა ძირეულად გარდაიქმნა. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმის შესრულებისათვის. მონდომებულმა, ენთუზიასტურად მოწყობილმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. მენავთობეებმა ნავთობის მოპოვების წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს 4 სექტემბრისთვის უპატაჟეს.

ტრესტის კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობებს და ვალდებულება იკისრა წლის ბოლოდგე სამშობლოს დამატებით მისცეს 12 ათასი ტონა ნავთობი.

ბურღვის ტექნოლოგიისა და განსაკუთრებით ნავთობის ფენებიხ ამოწოვნის მეთოდების საფუძვლიანად გარდაქმნამ შესაძლებლობა მისცეს ტრესტის კოლექტივს უკვე მიმდინარე წელს აღმოეჩინა ნავთობისა და გაზის დიდი დენტიანი საბადოები.

სურათებზე: ზემოთ — მბურღავები (მარცხნიდან) გ. ძამაშვილი, ბ. ნინოშვილი და ა. აზირაშვილი; შუაში — საბურღის № 7 ბურღი; ქვემოთ (მარცხნიდან) — თბილისსპირეთის ღრმა ბურღვის საძიებო კანტორის ტექნოლოგი დ. ჯორბენაძე, მთავარი ინჟინერი დ. ბახია და მთავარი გეოლოგი ვ. გვენეტაძე.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა იაპონიის დელეგაციას

2 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იაპონიის კომუნისტის პარტიის დელეგაცია პარტიის თავმჯდომარის, იაპონიის პარლამენტის დეპუტატის ე. ტაკეირას მეთაურობით.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შემდგომი განვითარება როგორც აზიასა და მთელ მსოფლიოში ვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ორივე მხარემ გამოამეღავნა დაინტერესება იმით, რომ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის თანამშრომლობამ სხვადასხვა დარგში მზარდად შეუწყოს ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშრობის განმტკიცებას.

საუბარს ესწრებოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლეფდოვსკი და „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. კოვალენკო.

ნ. ვ. პოდგორნი ესაუბრა ჰაფეზ ასადს

3 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ესაუბრა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰაფეზ ასადს.

საუბრის დროს, რომელმაც გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზებსა და ზოგიერთ ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი, აგრეთვე სირიის ელჩი საბჭოთა კავშირში ჟ. შაია.

გზად სამშობლოში

3 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი. იგი მეთაურობს პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

იმავე დღეს ჰაფეზ ასადი სამშობლოში გაემგზავრა.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკვანძო).

ერის, სამშობლოს ერთგული მსახური

ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებს ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისმა ჟანრმა გააცოცხლა და მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებად აქცია თქმულებანი ქართველ მთიელებზე, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა. მწერალი ღრმად ჩასწვდა თავის თანამოძმეთა ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს და საუკეთესო მოთხრობებსა და რომანებში აღწერა მათი თავისებურად ლამაზი, მგზნებარე და თავგანწირული ცხოვრება.

მწერლის შემოქმედების მთავარი თემა გახდა ყაზბეგი, რომელიც პოეტური შთაგონების წყაროდ იქცა ბევრი პოეტისა და მწერლისათვის, ჟაღარა მწერრავლები, ხეობები და მოჩუხჩუხე სწრაფი ნაკადულები, მთიელები, რომლებიც ცხოვრებას მაცარ ბონებასთან მარადიულ ბრძოლაში ატარებენ.

ყაზბეგის შემოქმედება თვით ჭაღარა ყაზბეგივით მარადიულია, იგი ყველა დროში მიიზიდავს და აღაფრთოვანებს მკითხველებს.

საიუბილეო ღონისძიებათა აპოთეოზი გახდა მწერლის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც 3 ოქტომბერს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

სცენის სიღრმეში მოჩანს მწერლის პორტრეტი, მის ქვეშ წარწერილია ციფრი „125“.

საზეიმო საღამოს პრეზიდიუმში არიან თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორები, კულტურის, მეცნიერების მოღვაწენი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მომავ რესპუბლიკებიდან საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული სტუმრები.

აქ არიან ამხანაგები შ. კიკნაძე, ზ. პატარაიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ო. ჩერქეზია.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ალექსანდრე ყაზბეგის იუბილეს მომზადობი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ. მან აღნიშნა, რომ მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მშობელი ხალხის თავდადებული სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია. ალექსანდრე ყაზბეგი ქართული ლიტერატურის მაღალი მოქალაქეობრივი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია.

მწერლის გმირები სამშობლოს თავისუფლების უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით აერან გამსჭვალულნი. ესჩნი არიან მაღალი ზნეობისა და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, რომელთა ცხოვრებაში მთავარია ერთგულება, უანგარო მეგობრობა, ამაღლებული რაინდული გრძნობები და წმინდა სიყვარული.

როგორც მწერალი, ალექსანდრე ყაზბეგი თართო ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეებთან იდგნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ამ დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მსგავსად, რომელთა მთელი შემოქმედება იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული, ალექსანდრე ყაზბეგის მთელი შემოქმედებაც განმსჭვალულია ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის სულისკვეთებით.

მწერლის ნაწარმოებებს ნათელ ზოლად გასდევს ურღვევი კავშირი ხალხთან, ხალხის ცხოვრებასთან. დიდი გვარის წარმომადგენელი და ღრმად განათლებული მოაზროვნე არ მოერიდა მეცხვარეთა მაცარ და ჭირ-ვარამით აღსავსე ცხოვრებას, შვიდი წლის განმავლობაში ფარას დაჰყვებოდა, უბრალო მთიელთა შორის ცხოვრობდა, ეზიარებდა მათს ლხინსა და ჭირს. ამ წლებმა წარუშლელი კვალი დაჩნიეს მის ნაწარმოებებს. ერთ-ერთ თავის წერილში მწერალი ამბობს: „თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმაში რასმე გულს გასართობს, თუ არ სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსული, ჩემი მეცხვარეობა არისო“.

ქართული ლიტერატურაში პირველად სწორედ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში აისახა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — ხევის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება. მოხეველთა ცხოვრება, მათი შრომა და ბრძოლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოტივებთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სოციალურ ბრძოლის მოტივებს. იგი გვიხატავდა ცარიზმის უღელქვეშ მგმინავი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის. შემთხვევითი როდია, რომ მის ნაწარმოებებში დიდი თანაგრძნობით და სიმპათიით არიან აღწერილი როგორც კავკასიის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ისე რუსი ჯარისკაცები.

მწერალმა ამხილა მეფის მოხელეები, მათი ბოროტმოქმედება. „ელგუჯა“ და „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ და „ელისო“ სწორედ ამ მოხელეთა უსულგულობაზე მოგვითხრობენ. აქ ყაზბეგი გვევლინება როგორც რუსული ლიტერატურის შესანიშნავი ტრადიციების გამგრძელებელი, ლიტერატურისა, რომელიც დაუნდობლად ამხილებდა ეროვნულ და სოციალურ უსამართლოებს.

ყაზბეგი ბუნების ბრწყინვალე მხატვარია. დაუვიწყარია მის მიერ საოცარი ოსტატობით აღწერილი მთათა ელვარე მშვენიერება თუ მეცხვარეთა მოხასხასე იალაღები. მოხეველ მამაკაცთა გმირული და ქალთა ნაზი პოეტური სახეები მთელი მომხიბლაობით აისახა მის მოთხრობებსა და რომანებში.

ყაზბეგის დიდმა მხატვრულმა ოსტატობამ, მისი შემოქმედების მომხიბლავმა უშუალობამ ათქმევინეს გრიგოლ ორბელიანს: „ჭერ ქართულ ენაზე მსგავსი არა დაწერილა რაო“.

დიდი და მრავალფეროვანია ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება. შესანიშნავი მოთხრობებისა და რომანების გარდა იგი ავტორია მრავალი. დრამატული ნაწარმოებისა, მის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე თარგმანები. წარმატებით მუშაობდა თეატრში.

ალექსანდრე ყაზბეგმა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვტოვა. მის ნაწარმოებებს გატაცებით კითხულობდა და კვლავაც კითხულობს ჩვენი ხალხი. მაგრამ მისმა შემოქმედებამ ნამდვილი აღიარება მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პოვა. მისი ნაწარმოებები გამოდის მრავალათასიანი ტირაჟით, ითარგმნება ჩვენი ქვეყნის ხალხთა, მთელი მსოფლიოს ხალხთა ენებზე, იდგმება თეატრების სცენებზე, მათ მიხედვით იღებენ კინოფილმებს.

ჩვენთვის წმიდათაწმიდაა სამშობლოს სიყვარულის, მეგობრობის, ნამდვილი რაინდობისა და ჰუმანიზმის კეთილშობილური გრძნობები, რომლებსაც ასე ადიდებდა მწერალი.

1948 წელს ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა მწერლის დაბადების ასი წლისთავი. დღეს ჩვენ ფართოდ აღვნიშნავთ მისი დაბადების 125 წლისთავს. ეს კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, თუ რა საყვარულით ეკიდებიან ჩვენი პატრა და ხალხი წარსულის სულიერ მემკვიდრეობას, ყოველივეს, რაც სიკეთისათვის, სამართლიანობისათვის, პროგრესისათვის მოუწოდებს ხალხებს.

ყაზბეგის შემოქმედება დიდი და უკვდავია. უკვდავია, რადგან ყველაზე მაგნელ ადამ მას სწადდა, რომ „მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიაც გაიმქრევის, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლების და ავადმყოფი მოკეთდების. ძმა ძმას დაინახავს და შეერთებული საქართველო, ერთ ხორც და ერთ სულ გადაქცეული აღსდგების“.

საღამოზე ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა დ. ბენაშვილმა.

მწერლის შემოქმედებაზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ უმაღლესი და სამეცნო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, ცნობილმა აზერბაიჯანელმა პოეტმა ბ. ბაიმბმოვმა, პოეტმა ა. გომიაშვილმა, ცნობილმა სომეხმა პოეტმა შ. ტოროსიანმა, მწერლებმა თ. ჭილაძემ, რ. ჯაფარიძემ, ა. სულაკაურმა, პროფესორებმა დ. ჯანელიძემ და ვ. შადუმმა, მოსკოველმა კრიტიკოსმა ვ. ოსკოლსკიმ.

ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ი. ნონეშვილმ.

ყაზბეგის რაიონის მშრომელთა სახელით საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ყაზბეგის რაიონის სოფელ გორასციხის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ი. ჩქარეულმა.

დასასრულ გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).



ეროვნული-განმათავისუფლებელი მოტივებთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სოციალურ ბრძოლის მოტივებს.

ალექსანდრე ყაზბეგი

ბრწყინვალე ნიჭი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის გიორგი ტოვსტონოგოვის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

ყველა, ვინც ამ საღამოს მოვიდა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, გასდა იმ დიდი აღიარებისა და სიყვარულის მოწმე, რომლითაც დამსახურებულად სარგებლობს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენელი გიორგი ალექსანდრეს-ძე ტოვსტონოგოვი. თეატრში, რომლის სცენაზე 35 წლის წინათ გაიმართა რეჟისორის დებიუტი, ნამდვილი დღესასწაული იყო.

გ. ტოვსტონოგოვი თბილისელთა განსაკუთრებით სასურველი სტუმარია. მოსკოვის ლენინგრადსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის აღზრდილი, იგი დაიბადა და იზრდებოდა თბილისში.

შემოქმედებითი საქმიანობის 35 წლის მანძილზე გამოჩენილმა საბჭოთა რეჟისორმა შექმნა მთელი რიგი სპექტაკლები, რომლებიც მოვლენად იქცა ქვეყნის თეატრალურ ცხოვრებაში. ეს არის პოგოდინის „ჯრმოლის კურანტები“, ვიმნეკვის „ოპტიმისტური ტრაგედია“, მილერის „ფასი“, შოლოხოვის „გაბედილი ყამირი“. გორკის დრამატურგიის სასკოლო ისტორიაში ეფორა შექმნის სპექტაკლებმა „ბარბაროსები“ და „მდაბიონი“ ლენინგრადის გორკის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრის სცენაზე.

იუბილარის მისალოცად მოვიდნენ გ. ა. ტოვსტონოგოვის კოლეგები, მეგობრები, მისი ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი.

იუბილარს მიესალმნენ, დიდი შემოქმედებითი წარმატებანი და ჯანრთელობა უსურვეს საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის პირველმა გამოშვებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. ა. ტოვსტონოგოვი. სტუდენტთა პირველი სპექტაკლის მონაწილეებმა — რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მ. ჩახავამ და ს. ყანჩელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ე. ვაჩნაძემ და დ. ქუთათელაძემ, მსახიობებმა ნ. ქუთათელმა და ნ. მახალდიანმა, რეჟისორმა მ. ჯიკიმურიამ, მოწაფე მაყურებელთა რუსული თეატრის, მეტრის ვუსპერმენტალურ თეატრ-სტუდიის, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის, რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრების მსახიობებმა, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

მაყურებლებს, უჩვენეს ნაწყვეტები ლენინგრადის გორკის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში გ. ა. ტოვსტონოგოვის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან — გორკის „მდაბიონი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, მილერის „ფასი“, ცაკარლის „ხანუმა“, შოლოხოვის „ენერგიული ადამიანები“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომლებშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კინოსა და თეატრის პოპულარული მსახიობები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები კ. ლავროვი, ი. ლიუბეზეი, ვ. სტრჟელჩიკი, ე. კოპელიანი, რუსეთის სსრ სახალხო არტისტები ლ. მაკაროვა, ე. პოპოვა, ე. აკარონოვა, რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტები, ს. იურსკი, ნ. ტროფიმოვი, ი. კოველი, მ. პრიზვან-სოკოლოვა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. კობასიძემ წაიკითხა საზოგადოების თავმჯდომარის, სსრ კავშირის ხალხთა დეპუტატის სსრ რესპუბლიკების სახალხო არტისტის ბ. ალექსიძის მიერ გ. ტოვსტონოგოვისადმი პარიზიდან გამოგზავნილი მისალოცავი დეპეშა.

ბ. ა. ტოვსტონოგოვმა მხურვალე მადლობა გადაუხადა თეატრალურ საზოგადოებას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ბოლთბილი, გულითადი მიღებისათვის, მისი შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის. — განსაკუთრებით მიხარია, თქვა მან, რომ საქართველოში, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი წლები, აფასებენ ჩემი შრომის ნაყოფს. ვცდილობ ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, რაც შეიძლება სწორად მივმართო ჩემს მუშაობაში შესანიშნავ ქართულ ორამატურგიას.

საღამოზე იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ბ. ს. ძიწენიძე, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. პატარაიძე, შ. დ. კიკნაძე, ბ. ბ. ბილაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, ო. ვ. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

უნარიანად შევარჩიოთ, მზრუნველად აღვზარდოთ იდეოლოგიური კადრები

კომუნიზმის მშენებლობის მოწინავე მიჯნების მებრძოლები უწოდა იდეოლოგიურ მუშაკებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპებით, ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობს ხელმძღვანელ და მათ შორის იდეოლოგიურ კადრებთან მუშაობას. მათს შემადგენლობაზე, თეორიულ მომზადებაზე, კვალიფიკაციაზე გადამწყვეტწილად დამოკიდებულია მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ქმედითობა.

პარტიის ლენინური ზრუნვა მასებზე იდეური გავლენის დონისა და ქმედითობის აღმავლობისათვის, იდეოლოგიური კადრების შერჩევის, პარტიული წრთობის, აღზრდისა და ოსტატობის სრულყოფისათვის დამაჯერებლად ეთქვა „ბელორუსის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

ამ დადგენილების დიდ მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებით საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს მიეძღვნა იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 28 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ვ. ხარაძემ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების პასუხისმგებელმა მუშაკმა ვ. ნ. კოსტეცკიმ დაწვრილებით დაახასიათეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა, გააშუქეს მისი უმნიშვნელოვანესი დებულებანი. თათბირზე გაანალიზეს რესპუბლიკაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის გაწეული მუშაობის მდგომარეობა, განაზოგადეს ამ ბოლო დროს ამ დარგში შეძენილი გამოცდილება, განსაზღვრეს ახალი მოთხოვნები და ამოცანები.

საერთო პარტიული მნიშვნელობის დოკუმენტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონე, კომუნიზმის მშენებლობაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დასაზუსტებელ ამოცანების მსმენელობრობა, მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე უფრო დიდ მოცულობას უყენებენ იდეოლოგიურ მუშაობას.

დასკვნები და რეკომენდაციები, რომელსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, პრინციპულად დიდმნიშვნელოვანია ყველა პარტორგანიზაციისათვის. ეს დოკუმენტი საერთო პარტიული მნიშვნელობისაა და აკონკრეტებს მთელ საქმიანობას იდეოლოგიური ფრონტის სხვადასხვა უბანზე, ორიენტაციას აძლევს ყველა მუშაკს, რომლებსაც ეხებათ ადამიანთა აღზრდა.

ახლა ყველგან ისახება იდეოლოგიურ კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუჯობესების ღონისძიებანი. მის შედეგიანობას ბევრად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ღრმად გაიაზრებენ პარტიული ორგანიზაციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. ამ ბოლოდ ჩასწავლიან მას მრავალმხრივ ხასიათს, მასში წამოყენებული იდეებისა და დებულებების, შეფასებებისა და კრიტიკული შენიშვნების მთელ ერთობლიობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, საზოგადოდ აღინიშნა თათბირზე, მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ყველა პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. იგი გვიასახავს პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური საქმიანობის თვისებრივად ახალ საფეხურზე ყოფნის ფართო შესაძლებლობებს. დადგენილებაში წამოყენებული მოთხოვნებისა და რეკომენდაციების თანმიმდევრულად, მტკიცედ და თანდათანობით ხორცშესხმა კონკრეტულ საქმეებში თითოეული პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მთავარი ის არის, რომ კიდევ ერთხელ ღრმად გავაზროთ, შევიმუშაოთ, შემდეგ კი განვახორციელოთ ღონისძიებანი ჩვენი რესპუბლიკის პირობების შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ფუძემდებელ მოთხოვნათა პრაქტიკული ხორცშესხმისათვის. ამ ამოცანების არსი მოკლედ ასეთია:

— მთელი იდეოლოგიური მუშაობა აუცილებელ საწყისებზე, უფრო ფართოდ დავნერგოთ კომპლექსური მიდგომა და პერსპექტიული დაგეგმვა;

— უზრუნველყოთ თეორიისა და პრაქტიკის შესაბამება; პრაქტიკული მუშაობის თითოეული ნაბიჯი შეესაბამოთ რეალურ თეორიას, ამ ასალ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა ამ ბოლოდროინდელ დოკუმენტებში;

— გავაძლიეროთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შემოქმედებით კავშირების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის კოორდინაცია;

— ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემის გადაჭრისადმი სისტემატური მიდგომა, ამასთან უზრუნველყოთ ტექნიკურ-ეკონომიური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური და სხვა აღმზრდელობითი ფაქტორების ურთიერთმოქმედება;

— შევისწავლოთ და გავავრცელოთ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში, იდეოლოგიურ დაწესებულებში და მის ფარგლებს გარეთ დაგროვილი იდეოლოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილება.

დავეუფლოთ მასების დარწმუნების ლენინურ ხელოვნებას

IDEOLOGICAL კადრები მოწოდებული არიან დაეუფლონ მასების დარწმუნების ლენინურ ხელოვნებას, ყველა საბჭოთა ადამიანის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, კომუნისტური მორალის, საზოგადოებრივი ცხოვრების ამბებისა და მოვლენების ანალიზისადმი კლასობრივი მიდგომის თანამედროვე მეთოდებს. ისინი მტკიცედ უნდა იბრძოდნენ სოციალიზმისადმი მტრულ იდეებს, კომუნისტური მორალის ანტიპოდებს, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებს, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებს.

თათბირზე განაზოგადეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი ხნის გამოცდილება საშეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, უწინარეს ყოვლისა მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მტკიცედ გადაჭრით ამხილეს ხალხის სულიერი ცხოვრების პარტიულ ხელმძღვანელობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროვნ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მეორეხარისხოვანი საკითხებზე ყურადღებას ამახვილებენ ბიუროს ზედმეტ ადმინისტრირებას, ეკონომიკასა და კულტურაში, დეტალურად იცნობდეს თავისი კოლეგიტურობა და პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებას, დაეუფლოს იმ ხელოვნებას, რომ სიტყვით ახდენდეს გავლენას მსმენელთა აზრებსა და მოქმედებაზე.

პროპაგანდისტული ოსტატობა — ეს უწინარეს ყოვლისა პედაგოგიური ოსტატობაა, გამოყალეული ფსიქოლოგიის პრინციპების ცოდნაზე.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს კიდევ უფრო გაუჯობესოთ მუშაობა იდეოლოგიურ აქტივთან. განსაკუთრებით საჭიროა შეფასებაოდეთ, აქტივისტები პარტიული პროპაგანდის მეთოდიკით, ორატორული ხელოვნების საფეხურებით, პრაქტიკული ამოცანათა ჯადაფვეტრასთან კომუნისტური იდეალების პროპაგანდის შეხამების უნარით. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის თავისებურებანი.

პროპაგანდა მხოლოდ ლეგიტიური ფორმით ვერ ამოწურავს. ყოველი მეცადინეობა მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო ცოდნის შეძენას, არამედ მიღებული ინფორმაციის, პოლიტიკური, საზოგადოებრივი მოვლენების გაანალიზებასაც, უნდა გახდეს აზროვნების სკოლა, აღზრდის სკოლა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხაბარისად არ იფენენენ პროპაგანდის მასობრივ ფორმებს, ლექტორიუმებს. და, თუმცა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“ დიდ მუშაობას ეწევა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე ლექციათა გაუმართლებლად დაბალ ხვედრითს წონას.

კიდევ უფრო უნდა გაუჯობესდეს სამეცადინო და შეტაგანარეში იდეოლოგიური კადრების სწავლების ორგანიზაცია. მისი ფორმები ბევრია, მათი კოორდინაცია კი არ არის. ეს ფორმები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და ხელს უწყობდნენ იდეოლოგიური ფრონტის ყველა კატეგორიის მუშაკების და, კერძოდ, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკების ideological მოამზადებას, რათა ეს ideology ნარდაიქმნას ღრმა და მტკიცე პირად რწმენად.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში იქმნება უმაღლესი კვალიფიკაციის პროპაგანდისტთა მომზადების ახალი ფორმები. მაგალითად, საქართველოს დიდაქალაქში იქმნება მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალები პარტიის რაიკომებსა და მსხვილ პარტორგანიზაციებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის შესახებ აღნიშნულია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ იდეოლოგიურ მუშაკთა შემადგენლობის სტაბილურობა, შექმნან პირობები, რაც ისინი უფრო წარმატებით შეასრულებენ მინდობილ საქმეს. მაგალითად, თბილისისა და მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაკები ხშირად არიან დაჯილდოებული საქმეებით, რომლებიც არ შედის მათს კომპეტენციაში. იშვიათად არიან ხოლმე პარტიულ ორგანიზაციებში. ნაკლებად იცნობენ შრომითი კოლექტივების მორალურ, ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის წარმატება ბევრად დამოკიდებულია პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებზე, აგრეთვე მათს მოადგილეებზე, რომლებიც იდეოლოგიურ მუშაობას განაგებენ. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა სრულყოფა მათი სწავლების და ატესტაციის ორგანიზაციის და პროპაგანდის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის საკითხებზე მათი ინსტრუქტირების ფორმები და შინაარსი. საჭიროა ავამაღლოთ პროპაგანდისტა და აგიტაციის მუშაკების, ყველა იდეოლოგიური კადრის ავტორიტეტი, აქტიურად დაფუძნოთ მათ მხარი, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ იდეოლოგიურ მუშაკთა შრომის საზოგადოებრივი აღიარების ღონისძიებანი, მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმა და საშუალება.

სამეურნეო ამოცანებთან განუყოფელი ერთიანობით

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 1974 წ.

ტუტი, რომელშიც შეიღენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები, პარტიული მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად განახლდა იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივი, პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩაბმული არიან ახალგაზრდა კადრები, მათ შორის მეცნიერები და შემოქმედებითი მუშაკები.

შეეხნენ რა პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელის პროპაგანდისტთა ამოცანებს, თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა სწავლის აქტუალიზაცია, მისი განუწყვეტელი გამდიდრება ახალი დასკვნებითა და დებულებებით, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მთელი პროცესით არის ნაკარნახევი და შესაძლებლობას იძლევიან სწორი ორიენტაცია მიეცეთ მშრომელთა მასებს, დავრაზმოთ მათი ძალები კომუნისტური შენებლობის ყოველდღიური ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ლექციები და თეორიული სემინარები გამსჭვალული იყოს შემოქმედებითი ძიების სულისკვეთებით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებში შეტანილი იყოს ისეთი დიდმნიშვნელოვანი დისციპლინები, როგორიც არის სოციალური ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, კონკრეტული ფსიქოლოგია, იდეოლოგიური მუშაობის თეორია და მეთოდიკა. ამისათვის კი, თავის დარგში ღრმა თეორიული და პოლიტიკური ცოდნის გარდა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და ინფორმაციის მოზღვავების საუკუნეში, საჭიროა, რომ თვითონ პროპაგანდისტმა, სემინარის ხელმძღვანელმა უწინარეს ყოვლისა ღრმად გაიაზროს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, სიასლეში მეცნიერებაში, ტექნიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში, დეტალურად იცნობდეს თავისი კოლეგიტური და პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებას, დაეუფლოს იმ ხელოვნებას, რომ სიტყვით ახდენდეს გავლენას მსმენელთა აზრებსა და მოქმედებაზე.

პროპაგანდისტული ოსტატობა — ეს უწინარეს ყოვლისა პედაგოგიური ოსტატობაა, გამოყალეული ფსიქოლოგიის პრინციპების ცოდნაზე.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს კიდევ უფრო გაუჯობესოთ მუშაობა იდეოლოგიურ აქტივთან. განსაკუთრებით საჭიროა შეფასებაოდეთ, აქტივისტები პარტიული პროპაგანდის მეთოდიკით, ორატორული ხელოვნების საფეხურებით, პრაქტიკული ამოცანათა ჯადაფვეტრასთან კომუნისტური იდეალების პროპაგანდის შეხამების უნარით. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის თავისებურებანი.

პროპაგანდა მხოლოდ ლექციური ფორმით ვერ ამოწურავს. ყოველი მეცადინეობა მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო ცოდნის შეძენას, არამედ მიღებული ინფორმაციის, პოლიტიკური, საზოგადოებრივი მოვლენების გაანალიზებასაც, უნდა გახდეს აზროვნების სკოლა, აღზრდის სკოლა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხაბარისად არ იფენენენ პროპაგანდის მასობრივ ფორმებს, ლექტორიუმებს. და, თუმცა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“ დიდ მუშაობას ეწევა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე ლექციათა გაუმართლებლად დაბალ ხვედრითს წონას.

კიდევ უფრო უნდა გაუჯობესდეს სამეცადინო და შეტაგანარეში იდეოლოგიური კადრების სწავლების ორგანიზაცია. მისი ფორმები ბევრია, მათი კოორდინაცია კი არ არის. ეს ფორმები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და ხელს უწყობდნენ იდეოლოგიური ფრონტის ყველა კატეგორიის მუშაკების და, კერძოდ, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკების ideological მომზადებას, რათა ეს ideology ნარდაიქმნას ღრმა და მტკიცე პირად რწმენად.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში იქმნება უმაღლესი კვალიფიკაციის პროპაგანდისტთა მომზადების ახალი ფორმები. მაგალითად, საქართველოს დიდაქალაქში იქმნება მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალები პარტიის რაიკომებსა და მსხვილ პარტორგანიზაციებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის შესახებ აღნიშნულია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ იდეოლოგიურ მუშაკთა შემადგენლობის სტაბილურობა, შექმნან პირობები, რაც ისინი უფრო წარმატებით შეასრულებენ მინდობილ საქმეს. მაგალითად, თბილისისა და მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაკები ხშირად არიან დაჯილდოებული საქმეებით, რომლებიც არ შედის მათს კომპეტენციაში. იშვიათად არიან ხოლმე პარტიულ ორგანიზაციებში. ნაკლებად იცნობენ შრომითი კოლექტივების მორალურ, ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის წარმატება ბევრად დამოკიდებულია პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებზე, აგრეთვე მათს მოადგილეებზე, რომლებიც იდეოლოგიურ მუშაობას განაგებენ. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა სრულყოფა მათი სწავლების და ატესტაციის ორგანიზაციის და პროპაგანდის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის საკითხებზე მათი ინსტრუქტირების ფორმები და შინაარსი. საჭიროა ავამაღლოთ პროპაგანდისტა და აგიტაციის მუშაკების, ყველა იდეოლოგიური კადრის ავტორიტეტი, აქტიურად დაფუძნოთ მათ მხარი, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ იდეოლოგიურ მუშაკთა შრომის საზოგადოებრივი აღიარების ღონისძიებანი, მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმა და საშუალება.

სამეურნეო ამოცანებთან განუყოფელი ერთიანობით

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 1974 წ.

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 1974 წ.

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 1974 წ.

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 1974 წ.

პირუტყვს — საკვების წლინახევრის მარაგი!

საკვების დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1974 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით (პროცენტობით)

	მოსავლის უბეში საკვები	აქედან			მზა სილოსი
		თივა	სენაჟი	სხვა უხეში საკვები	
ახალქალაქის	79	82	98	55	10
ბოგდანოვკის	62	62	102	33	55
ახალციხის	75	85	95	70	3
ალიგენის	110	32	173	55	—
ასპინძის	73	91	109	37	94
ხამშარის	94	120	125	77	—
ქარელის	83	78	135	79	79
ბორის	—	—	177	76	15
კასპის	82	92	102	71	12
ბორჯომის	81	81	88	46	49
საგარეჯოს	102	117	101	92	51
გურჯაანის	106	81	236	88	83
სიღნაღის	102	102	146	93	58
ზემოლეწყარეს	103	172	100	90	99
თელავის	109	97	136	107	42
ახმეტის	106	146	165	62	55
ყვარლის	88	78	139	69	17
ლაგოდეხის	72	39	102	76	6
გარდაბნის	110	140	113	71	44
მცხეთის	175	114	168	100	3
მარნეულის	104	88	121	111	35
გოლენისის	105	76	117	123	25
